ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი, საქართველო, 0160
ტელ.: (+995 32) 220 65 20
ფაქსი: (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.edu.ge

ბიზნესის სკოლა

კ უ რ ი კ უ ლ უ მ ი

პროგრამის სახელწოდება
ბიზნესის ადმინისტრირება (240 კრედიტი) / Business Administration (240 Credits)
საფეხური
ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration
პროგრამის ხელმძღვანელი
თამაზ უზუნაშვილი - პროფესორი, ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე
პროგრამის მოცულობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 (ECTS) კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისა (კომპონენტის) და თავისუფალი კომპონენტებისაგან.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი.

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე. ი. სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა.
ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 138 კრედიტს.
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში სტუდენტმა აგროვებს 36 კრედიტს

პრაქტიკული კომპონენტი (არჩევითი) - 6 კრედიტი:

ძირითადი სწავლის სფეროს 36 არჩევითი კრედიტიდან 6 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს პრაქტიკისათვის.
სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკას სტუდენტი გაივლის იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და ბიზნესის სკოლას.

საბაკალავრო ნაშრომი (არჩევითი) – 12 კრედიტი:
ძირითადი სწავლის სფეროს 36 არჩევითი კრედიტიდან 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს საბაკალავრო ნაშრომისათვის.

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 48 კრედიტს.

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებში (ნებისმიერი კურსი უნივერსიტეტში სხვა საბაკალავრო პროგრამიდან, პრაქტიკულ, კვლევით კომპონენტში) სტუდენტი აგროვებს 18 კრედიტს.

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 18 თავისუფალი კრედიტი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან (ძირითადი სწავლის სფერო, თავისუფალი კომპონენტი); ბიზნესის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სწავლების ენა

ქართული ენა

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

1. მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომელიც მისცემს მას საშუალებას გაანალიზოს ბიზნესის პრობლემები და მოამზადოს საკითხები ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას.
2. აღჭურვოს სტუდენტი მათემატიკური სტატისტიკის, მონაცემთა ანალიზისა და ბიზნეს მოდელირების უახლესი მეთოდებით, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე.
3. აღიზარდოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ეფექტურად იმუშავებს ბიზნესის სფეროში და უზრუნველყოფს თანამედროვე მეთოდების დანერგვას.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის უფლებას მოიპოვებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობი შესაბამისად და ჩაბარებული ექნება გამოცდა ინგლისურ ენაში, ამასთან საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა მიიღოს ინგლისური ენის გამოცდაში (ერთიანი ეროვნული გამოცდებზე) ნედლი ქულის არანაკლებ 40%.

ერთიანი ეროვნული გამოცდის გარეშე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლის შემთხვევებში. ერთიანი ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხვის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე. სერთიფიკატი არ ესაჭიროებათ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც საშუალო განათლება მიღებული ექნებათ ინგლისურ ენაზე.

სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

240

დასაქმების სფერო

ბაკალავრიატის სრული კურსის ათვისება შესაძლებლობას აძლევს ბაკალავრს წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის მენეჯერი, ბუღალტერი, მარკეტოლოგი, გაყიდვების მენეჯერი, ფირმების საფინანსო განყოფილებების მენეჯერები, და ა.შ.

სწავლის შედეგი

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. განიხილავს ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს და აღწერს სფეროში არსებულ პრობლემატიკას და ამ პრობლემების ამოსახსნელად აიდენტიფიცირებს შესაბამის მეთოდებს;
2. არსებულ ბიზნეს გარემოში დეტალურად აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემებს, ფუნქციონალურ სფეროში მიმდინარე მოვლენებს და ბიზნეს პროცესებს;
3. ზოგიერთი მათემატიკური, სტატისტიკური და ბიზნეს მოდელირების უახლესი მეთოდების გამოყენებით აანალიზებს ორგანიზაციის საქმიანობას, შეიმუშავებს ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს და რეკომენდაციებს;
4. შემოაქვს ბიზნესის ღირებულების ცნება და იყენებს მისი გაზომვის მეთოდებს;
5. ბიზნესის განუზღვრელ გარემოში ახდენს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და სახავს რისკების მართვის გზებს;
6. ლექტორის მითითებების დახმარებით ახორციელებს ბიზნეს ადმინისტრირების კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით;
7. იყენებს ლიდერობის და თანამშრომლობის პრინციპებს გუნდური მუშაობის დროს;

8. ეთიკური ნორმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დაცვით ახდენს ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ილურსტრირებას, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან;
9. აფასებს ორგანიზაციის სოციალურ საქმიანობას, გეგმავს ბიზნესის პრობლემების გადასაჭრელად განვითარებაზე ორიენტურებულ საქმიანობას და ახდენს განხორციელების გზების ილურსტრირებას ბიზნესის ეთიკის პრინციპების დაცვით;
10. გეგმავს საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებებებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ პრაქტიკული მეცადინეობა და სხვა

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method)
- პრეზენტაცია (Presentation)
- პრაქტიკული მუშაობა; (Practical Work)
- ჯგუფში მუშაობა (Group Work)
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება; (Project Based Study)
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (Problem Based Study)
- სწავლება კეთებით (Learning by Doing)
- შემთხვევის შესწავლა (Case Study)
- სიმულაციური სწავლება (Simulation Study)
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates)
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები:

- წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება;
- პრაქტიკული მაგალითები;
- პროფესიული ანგარიშის შედგენა;
- შეკითხვებზე პასუხების მომზადება;
- წერილობითი დავალებების შესრულება;
- შემთხვევების ანალიზი;
- დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა;
- კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;

- ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით;
- და სხვა

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მინიმალური ზღვრების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

შუალედურ შეფასებაში სავალდებულოა ერთი შუალედური გამოცდის გათვალისწინება, რომელიც ფასდება 20 ქულით. შუალედური შეფასების დანარჩენი 40 ქულის განაწილება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობას, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას.
სტუდენტი, რომელსაც დაგროვილი არ ექნება სავალდებულო მინიმალური ქულა (25) და სილაბუსებში მითითებული მინიმალური სავალდებულო ქულები ზოგიერთ დავალებებში, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად განხორციელდეს: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

შეფასების სისტემა
სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით: **დადებითი შეფასებები:** (A) ფრიადი - 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა; **უარყოფითი შეფასებები:** (FX) ვერ ჩააბარა _ 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა _ 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. (FX) ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.